ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 162

ქალაქი ქუთაისი 24 აპრილი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი
თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში
მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N135 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 24 აპრილის N162 განკარგულების
დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის

შ ე ს ა ხ ე ბ

2018 წლის განმავლობაში სამსახურის ეკონომიკური განვითარების განყოფილება საქმიანობას ძირითად ახორციელებდა ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის (03.04) ფარგლებში, სადაც ძირითადი პრიორიტეტები იყო ეკონომიკური სტიმულირება და ბიზნესის ხელშეწყობა, ქალაქის ეკონომიკური ანალიზი და საინვესტიციო გარემოს შესწავლა, ენერგოეფექტურ საკითხებზე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება.

ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ („M4EG“) ფარგლებში მომზადდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმა („LEDP“).

გეგმის შემუშავებისათვის ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა „LED“ ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა 7 წევრის: მერიის (3 წევრი), კერძო სექტორის (1 წევრი), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (2 წევრი) და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისაგან (1 წევრი), რომელთა შერჩევა მოხდა შესაბამისი სექტორების რეკომენდაციებით, ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე მათი გავლენისა და ინტერესების მიხედვით. დაინიშნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მრჩეველი („LED Officer“). სამუშაო ჯგუფთან ერთად ტექნიკური, ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის მუშაობდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელეები. ქალაქის საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისათვის ინფორმაციები შეგროვდა შემდეგი წყაროებიდან: შეხვედრები და დისკუსიები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს და სამეცნიერო წრეებთან; ინტერვიუები და ანკეტირება სტუდენტ-ახალგაზრდობასთან და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმომადგენლებთან; სტრატეგიული დოკუმენტები ქალაქის და რეგიონის შესახებ; „LED“ ჯგუფის დისკუსიები.

საბოლოო ჯამში, „LED“ ჯგუფმა გეგმის შემუშავებისათვის ჩაატარა 24 სამუშაო შეხვედრა.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირება, ისინი შეფასდა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების მიმართებაში და მათი გათვალისწინებით მოხდა „LED“ გეგმის ფორმირება. საჭიროებების კვლევის დროს ძირითადად გამოიკვეთა:

1. ტურიზმის სფეროს გაძლიერების საჭიროება: ვინაიდან, ტურიზმი არის ქუთაისის ადგილობრივი ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, საჭიროდ მივიჩნიეთ არსებული მომსახურებისა და რესურსების გაუმჯობესების და ტურიზმის ინოვაციური შესაძლებლობების ხელშეწყობა. ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ბაზაზე რეგიონული დესტინაციის მართვის ორგანიზაციის („DMO“) შექმნა ხელს შეუწყობს მეტი ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების დანერგვას, რაც მოიზიდავს უფრო მეტ ტურისტს და სრულად გამოიყენებს ადგილობრივ ტურისტულ პოტენციალს.

2. მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება: აუცილებელია მეწარმეთა ცნობიერების გაზრდა არსებული სახელმწიფო პროგრამებისა და დაფინანსებების შესახებ, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში განავითარონ თავისი საქმიანობა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ქალაქში წარმოებული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდასა და განვითარებას.

3. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება: საჭიროა მუნიციპალიტეტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს საჯარო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა მოხდეს ქალაქის საინვესტიციოდ მიმზიდველ ადგილებზე დაინტერესებისა და ღირებულების ზრდა. ამავდროულად უნდა შეიქმნეს ელექტრონული პროდუქტები ქალაქის საინვესტიციო და ეკონომიკური შესაძლებლობების წარმოჩენისათვის, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ და უცხოურ ბიზნესებს საქმიანი კავშირების დამყარებაში.

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისა და კვლევისათვის მოპოვებულ იქნა ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან.

გეგმა ძირითადად შედგენილია 6 თემატური ბლოკის მიხედვით. გაანალიზებულია თითოეული მათგანი, კვლევები განხორციელებულია მათ შესაბამისად და განსაზღვრულია საშუალოვადიან ეტაპზე მისაღწევი მიზნები: სამეწარმეო აქტივობის სტიმულირება, ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული ადამიანური უნარების განვითარება და ქალაქის ცნობადობის გაზრდა.

გეგმა წარედგინა, როგორც ევროკავშირის თბილისის სამდივნოს, ასევე მსოფლიო ბანკს. მათი მხრიდან შეფასდა დადებითად და მიღებულ იქნა რეკომენდაციები შემდგომი სრულყოფისა და იმპლემენტაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობდა 6 თვის განმავლობაში, შემუშავებულ იქნა ქუთაისის 2019-2022 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი. მასში აღნიშნული მიმართულებები და პროგრამები გათვალისწინებულია 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.

საანგარიშო პერიოდში კომუნიკაციების შედეგად გამოვლენილ იქნა მეწარმეთა მხრიდან დაფიქსირებული საჭიროებები, რომელიც ძირითადად ეხებოდა ქალაქში წარმოებული პროდუქციის გაყიდვების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. შესაბამისად, ამ მიზნისათვის საქალაქო და სადღესასწაულო ღონისძიების დროს ხდებოდა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა – გაყიდვის ორგანიზება, რაც გარკვეულ სტიმულს აძლევდა ადგილობრივ მეწარმეებს;

2018 წლის ივნისის თვეში, გავუწიეთ ორგანიზება ადგილობრივ სამშენებლო სექტორში მოქმედ ბიზნესებს ორგანიზაციებისა და პოლონეთის ვიელკოპოლსკას მხარის ბიზნესის განვითარების ფონდის წარმომადგენლებს შორის შეხვედრას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამომავლოდ ბიზნეს წრეებს შორის პარტნიორობას;

2018 წლის ივნისის თვეში ორგანიზება გავუწიეთ თურქეთისა და ადგილობრივი საგზაო-სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრას, სამომავლო თანამშრომლობის მიზნით;

2018 წლის აგვისტოს თვეში განყოფილების მოხელეები გადამზადნენ ენერგოეფექტურ საკითხებზე საპროექტო წინადადებების მომზადების თემატიკაში, რომლის ორგანიზატორი იყო ევროკომისია;

2018 წლის ოქტომბრის თვეში ევროკავშირის პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება მცირე და საშუალო ბიზნესისა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ ფარგლებში განყოფილების მოხელეები გადამზადდნენ ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საქმიანობაში შემდგომი გამოყენების მიზნით;

2018 წლის დეკემბრის თვეში, განყოფილების მოხელეების გადამზადება მოხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მექანიზმებისა და პრინციპების თემატიკაზე, რომლის ორგანიზატორი იყო „UNDP Georgia“ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

2018 წლის დეკემბრის თვეში სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ეროვნული ბანკის წარმომადგენლებსა და ადგილობრივი ლომბარდებისა და სესხის გამცემ სუბიექტებს შორის, რომელიც შეეხებოდა მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ახალ საკანონმდებლო რეგულაციებს;

განხორციელდა მერების შეთანხმების ფარგლებში შემუშავებული „ქალაქ ქუთაისის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის“ („SEAP“) მონაცემთა შეგროვება-განახლება;

2018 წლის დეკემბრის თვეში მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო ფორუმში „გლობალური დათბობა და ინტეგრირებული ჩარჩოები“, რომლის ორგანიზატორი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვით ცენტრთან ერთად;

2018 წლის ივნისის თვეში „ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის“ ფარგლებში, ენერგოეფექტურობის ცენტრთან ერთად, ქუთაისის N1 საჯარო სკოლის შენობაში მოეწყო დასკვნითი ღონისძიება, რომელიც ჩატარდა მოსწავლე – ახალგაზრდობის ფართო ჩართულობით. გამარჯვებული მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი დაჯილდოვდა 500 ლარიანი ვაუჩერით;

„ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოსთან“ ერთობლივად შემუშავდა ქუთაისის თვითმმართველობის ინდექსი;

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სტაჟირება და პრაქტიკული კურსი გაიარა უნივერსიტეტის 50-მდე სტუდენტმა;

2019 წელს მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ ქუთაისის საინვესტიციო მიმზიდველობის, სამეწარმეო აქტივობის ზრდის, სტიმულირებისა და ქალაქის ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობისათვის. შესაბამისი ღონისძიებები ძირითადად დაფინანსდება 2019 წლის ბიუჯეტის პროგრამული კოდით (07.03) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, 50.000 (ორმოცდაათი ათასი ლარი).

მზადდება ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიო, რომელიც გავრცელდება პოტენციურ ინვესტორებთან, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ კორპუსებსა და სათვისტომოებში, დამმობილებულ ქალაქებში, საერთაშორისო პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებში ქუთაისის საინვესტიციო მიმზიდველობის მიზნით.

დაგეგმილია ქუთაისში საერთაშორისო ბიზნესფორუმის ორგანიზება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ პოტენციური ინვესტორები, საქართველოს დიპლომატიური კორპუსი და სათვისტომოები საზღვარგარეთიდან, დამმობილებული ქალაქები, საერთაშორისო პარტნიორი და დონორი ორგანიზაციები. შედეგად, გაიზრდება ბიზნეს ინტერესი და ქალაქის ცნობადობა; განყოფილების ბაზაზე ბიზნესისათვის საკონსულტაციო სერვისის დანერგვა; მიგრაციის პოტენციალის გამოყენება ადგილობრივი განვითარების დაჩქარებისათვის; ადგილობრივად პროდუქციის პოპულარიზაციისა და გაყიდვების ხელშეწყობისათვის მეწარმეთა სტიმულირება, უფასო რეკლამირება (გამოყენებული იქნება ქალაქში არსებული სარეკლამო ბანერები, დაიბეჭდება ბუკლეტები, ბროშურები); „მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა 2030“-ის ფარგლებში გაფორმდება მემორანდუმი „ენერგოეფექტურობის ცენტრთან“ და მიერთება მოხდება კლიმატის ცვლილებების შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებაზე ახალ ვალდებულებებთან; შემუშავდება ქუთაისში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის პოპულარიზაციის მიზნით ელექტრო დამტენების მონტაჟის მიზანშეწონილობის კონცეფცია; სკვერებსა და რეკრეაციულ ადგილებში ენერგოეფექტური სლოგანებით ფირნიშების განთავსება, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის.

საქალაქო ტრანსპორტთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ტრანსპორტის განყოფილების მიერ, შემუშავებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის საზღვრებში საგარეუბნო და საქალაქთაშორისო სამგზავრო რეგულარული მარშრუტების ავტოსადგურებამდე მიმოსვლის სვლაგეზების სქემები, რომლის ძირითადი მიზანია ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგარეუბნო ტრანსპორტის ქაოტური მოძრაობის აღმოფხვრა. სვლაგეზები განსაზღვრულია ქალაქის 8 ძირითადი შემოსასვლელიდან რეგისტრირებულ 14 ავტოსადგურამდე. მუშაობის პროცესში ძირითადი მიზანი იყო მომხდარიყო საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტების სვლაგეზების ქალაქის ცენტრალური ქუჩებისათვის აშორება, რაც გარკვეულწილად განტვირთავს მოძრაობის ნაკადებს და გახდის უსაფრთხოს. სადგურების რაოდენობა ცვალებადია და შესაძლებელია მოხდეს დოკუმენტის ცვლილება სადგურების რაოდენობის კლებიდან, ან მატებიდან გამომდინარე.

ახალი მისამართების მიხედვით შერჩეულია საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებების განთავსების ადგილები და მომზადებულია „ქალაქ ქუთაისში მოქმედი სამგზავრო - სატრანსპორტო სქემების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N216 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი. დღეის მდგომარეობით, ქალაქში რეგისტრირებულია 344 გაჩერების წერტილი. ახალი პროექტით სტანდარტის შესაბამისად (არაუმეტეს 500 მეტრი) გაჩერებებს შორის დაშორების გათვალისწინებით პროექტში განსაზღვრულია 374 ერთეული გაჩერება. დადგინდა და გასწორდა არსებული გაჩერებები ახალი მისამართების მიხედვით .

ქალაქის ძირითად სატრანსპორტო ქსელში დამონტაჟდა 70 ერთეული მგზავრების მოსაცდელი ჯიხური, რომელშიც ჩართული იყო როგორც მოსახლეობა, ასევე ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები. სულ დამონტაჟებულია 111 სამგზავრო ჯიხური, რომელიც განაწილებულია ქალაქის მთელ ტერიტორიაზე (2019 წელს იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება).

2017-2018 წლებში შესწავლილ იქნა საქალაქო საავტობუსო და მიკროსაავტობუსო მარშრუტების მუშაობის მაჩვენებლები, კერძოდ: შემოწმდა მოძრაობის განრიგების დაცვის ხელშემშლელი პირობები და სამუშაო დღის საათების მიხედვით მარშრუტებზე მგზავრთნაკადის განაწილების პარამეტრები. ასევე, მგზავრთწარმოქმნის მაჩვენებლები სამუშაო და არასამუშაო დღეების მიხედვით. კვლევა მიმდინარეობდა დაახლოებით, 3 თვის განმავლობაში, ეტაპობრივად, არსებული მარშრუტების სვლაგეზებზე. დათვლილ იქნა საავტობუსო და მიკროსაავტობუსო ხაზების 80 %. სამწუხაროდ, შეინიშნება მგზავრთნაკადის კლება (2008 წელს 32 122 000 გადაყვანა. 2017-2018 წლებში 25 000 000 გადაყვანა).

საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის შესწავლის შედეგებით შეფასდა ტრანსპორტის გამართულ ფუნქციონირებაზე გარე მოქმედი ფაქტორები, როგორიცაა საგზაო მოძრაობის რეგულირება, გზის გამტარიანობა, საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე მსუბუქი ავტომობილების უნებართვო დგომა და მგზავრთნაკადის კლება. აღნიშნულ ფაქტორებს სათითაოდ, საკუთარი გამომწვევი მიზეზები აქვს, მოსახლეობის მიგრაცია, რომლის ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია და საბოლოოდ ერთ-ერთი ყველაზე დამაზიანებელი ფაქტორია საქალაქო ტრანსპორტისათვის.

მეორე, ყველაზე პრობლემური სკითხი, რომელიც აზიანებს და საფრთხეს უქმნის საქალაქო ტრანსპორტს, არის კერძო ავტომობილების რაოდენობის მკვეთრი მატება, რომელიც 2013 წლიდან გაზრდილი არის 33 385 ერთეულით და ამჟამად შეადგენს 56 366 (მხოლოდ მსუბუქები). ავტომობილების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია გზის გამტარუნარიანობის შემცირება, რაც გახდა მიზეზი საქალაქო ტრანსპორტის სიჩქარის შემცირებისა, რამაც თავის მხრივ გაზარდა ინტერვალები. მაგ: ჭავჭავაძის გამზირზე, მოსწავლე – ახალგაზრდობის პარკიდან ზ.გამსახურდიას ქუჩის კვეთამდე თავისუფალი გავლა 0.30 წუთიდან გაიზარდა 1.25 წუთამდე , ხოლო საცობის პირობებში, 3.5 წუთამდე. მსგავსი სიტუაციებია ტაბიძის, რუსთაველის, ფალიაშვილის, წერეთლის და თამარ მეფის ქუჩებზე, სადაც აღნიშნულ პრობლემას ემატება უნებართვო პარკირებაც, განსაკუთრებით, გაჩერების ადგილებში. აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით შემუშავებულია საქალაქო ტრანსპორტის განვითარების გეგმა, რათა შევძლოთ მოსახლეობისათვის სწრაფი, იაფი, კომფორტული და უსაფრთხო ტრანსპორტის შეთავაზება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქალაქო ტრანსპორტში მგზავრების დაბრუნებას.

შემუშავებულია ადაპტური მართვის სქემა, როგორც მუნიციპალური ტრანსპორტისათვის, ასევე, მიკროავტობუსებისათვის, დადგენილია საქალაქო ტრანსპორტისათვის საჭირო მოდიფიკაციები.

შესწავლილ იქნა საავტობუსო მარშრუტებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის განკუთვნილი ადაპტირებული ავტობუსების მუშაობის უზრუნველყოფის პირობები, კერძოდ, განისაზღვრა ძირითადი სამგზავრო მიმართულებები მომსახურებისათვის საჭირო ადაპტირებული ავტობუსების რაოდენობები.

მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის კვლევა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადასაყვანი მოსწავლეთა რაოდენობისა და სვლაგეზების მიხედვით განისაზღვრა საჭირო მგზავრთტევადობის ავტობუსების რაოდენობა და მომსახურების სავარაუდო ხარჯები. კვლევა ჩატარდა ქალაქში არსებულ გადამზიდავებს შორის, რომელთაც აქვთ საავტობუსო გადაყვანების გამოცდილება. დაგვევალა შესრულებული სამუშაოს კონტროლი სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად.

ჩატარდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრა და დათვალიერდა მუნიციპალური სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბაზის განთავსების სავარაუდო ადგილები.

საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებაზე სრულფასოვანი ინფორმაციის მისაღებად შეიქმნა ელექტრონული რუკის ვერსია, რომელმაც შესაძლებელია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს პირველადი ინფორმაცია სვლაგეზი ერთეულის რაოდენობა, ინტერვალი და სამუშაო საათები. რუკაზე დატანილია არსებული ხაზების სვლაგეზები, რაოდენობები და გრაფიკები.

ყოველთვიურად ხდებოდა უფასო მგზავრობის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მიერ გამოყენებული სპეციალური სამგზავრო ბილეთების აღრიცხვა და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება. აღნიშნული ბილეთები გროვდება ერთი წლის განმავლობაში და შემდგომ, ერთიანად ნადგურდება.

ჩატარდა ტრანსპორტის განყოფილებაში მოვლინებული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სტაჟირება.

გადამზიდავების მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდებოდა მარშრუტების სანებართვო მოწმობების ტრანსპორტის რეესტრში ცვლილებების შეტანა. 2018 წლის განმავლობაში მიკროსაავტობუსო მარშრუტებზე მოხდა ძველი მიკროავტობუსების უკეთესი ტექნიკური მდგომარეობის მიკროავტობუსებით ჩანაცვლება.

ეკონომიკური განვითარების ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ, 2015 წლიდან დღემდე გაცემულია 10 საავტობუსო და 41 მიკროსაავტობუსო მგზავრთა რეგულარული გადაყვანის დროებითი ნებართვა.

ნებართვების გაცემის ფასის ჯამური ოდენობა შეადგენს 690 000 ლარზე მეტს.

ნებართვების გაცემა დასაშვებია ერთჯერადად, არაუმეტეს 5 წლის ვადისა.

ასევე, 2018 წელს შემუშავდა ქალაქის სატრანსპორტო რაიონული რუკა, რომლის მიზანია სვლაგეზების შემდგომი დაგეგმვა ისეთნაირად, რომ ერთი ჩასხდომით მინიმუმ 4 ზონაში იყოს შესაძლებელი გადაადგილება. აღნიშნული ფაქტორი გამოწვეულია ქალაქის ტერიტორიული განლაგებიდან და ძირითადი მიზიდვის წერტილებიდან გამომდინარე:

1. ავტომშენებლის ქუჩა N 23
2. ხარებავას ქუჩა N 9
3. ორახელაშვილის ქუჩა N 7 დ
4. ირ. აბაშიძისა და შარვაშიძის ქუჩების კვეთა
5. ჩხობაძის ქუჩა, პოლიკლინიკის მიმდებარედ
6. ავტომშენებლის ქუჩა, N 18-ის სამხრეთით ჩხობაძის საავადმყოფოს ჩასახვევთან
7. ავტომშენებლის ქუჩა, N 12-ის სამხრეთით
8. ავტომშენებლის ქუჩა, N 9-ის ჩრდილოეთით
9. ავტომშენებლის ქუჩა, N 17-ის ჩრდილოეთით
10. ავტომშენებლის ქუჩა, N 35-ის ჩრდილოეთით

11. ავტომშენებლის ქუჩა N 27

12. ავტომშენებლის ქუჩა, N 8-ის სამხრეთით

13. ხარებავას ქუჩა, N 18-ის ჩრდილო - დასავლეთით

14. თაბუკაშვილის ქუჩა, N 205-ის მიმდებარედ

15. თაბუკაშვილის ქუჩა N 183

16. კ. გამსახურდიას ქუჩა N 2

17. გამსახურდიას ქუჩა, კლინიკურის შესახვევთან

18. თაბუკაშვილის ქუჩა N 127

19. თაბუკაშვილის ქუჩა, N 65-ის დასავლეთით

20. თაბუკაშვილის ქუჩა, N 113 ბინის წინ

21. თაბუკაშვილის ქუჩა, N 165-ის მიმდებარედ

22. ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი, 7ბ კორპუსის მიმდებარედ

23. ნიკეას ქუჩა, N 17 სკოლასთან

24. ნიკეას ქუჩა N 9

25. გ.სახელაშვილის ქუჩა, პოლიკლინიკის მიდებარედ

26. ნიკეას ქუჩა N 22

27. ნიკეას ქუჩა N 14

28. ნიკეას ქუჩა N 7ა

29. ნიკეას ქუჩა N 7

30. სულხან – საბას გამზირი N 43

31. სულხან – საბას გამზირი N 71

32. სულხან – საბას გამზირი N 69-ის ჩრდილო – დასავლეთით

33. სულხან – საბას გამზირი N 1-ის ჩრდილო – დასავლეთით

34. სულხან – საბას გამზირი N 2

35. გუგუნავას ქუჩა N 15/22

36. სულხან – საბას გამზირი, N 5

37. სოლომონ პირველის ქუჩა N 72 (მე-5 სკოლა)

38. 26 მაისის ქუჩა, N 103-ის მიდებარედ

39. 26 მაისისა და განათლების ქუჩების კვეთა

40. კლდიაშვილის ქუჩის ბოლოს, N139

41. 26 მაისის, მერაბ კოსტავას და ზარდალიშვილის ქუჩების კვეთა

42. ლეონიძის ქუჩა N 4-ის მიმდებარედ

43. ახალგაზრდობის გამზირი N 60

44. ახალგაზრდობის გამზირი N 84-სა და N 86-ს შორის

45. ბაგრატიონის და გორის ქუჩების კვეთა

46. კუპრაძის ქუჩა N 42

47. წერეთლისა და მანდარიას ქუჩების კვეთა

48. აბაშიძისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთა

49. წერეთლის ქუჩა N195

50. წერეთლის ქუჩა, N194-ის აღმოსავლეთით

51. წერეთლის ქუჩა, N98-ის აღმოსავლეთით

52. წერეთლის ქუჩა, N32-ის აღმოსავლეთით

53. ჯავახიშვილის ქუჩა, N 3-ის მიმდებარედ

54. ჯავახიშვილისა და ჭონქაძის ქუჩების კვეთა

55. ირ. აბაშიძის ქუჩა N12ბ

56. კიკვიძის ბაღი

57. ბუხაიძის ქუჩა N 17

58. ბუხაიძის ქუჩა N 24

59. ლესელიძის ქუჩა, N 3-ის მიმდებარედ

60. ლესელიძის ქუჩა, N 87-ის მიმდებარედ

61. შავგულიძისა და ბერაძის ქუჩების კვეთა

62. ვარლამიშვილის მოედანი, ჯაჭვის ხიდთან

63. დავით აღმაშენებლის გამზირი, N51-ის ჩრდილოეთით

64. დავით აღმაშენებელის გამზირი N 63, 21-ე სკოლასთან

65. დუმბაძის ქუჩა (გაჩერება ბაღთან, ნინოშვილის ბაზარი)

66. ასათიანის ქუჩა N 119, სამკერვალოსთან

67. დავით აღმაშენებლის გამზირი, N127-ის ჩრდილოეთით

68. ზ.გამსახურდიას ქუჩა, N 34-ის აღმოსავლეთით

69. ზ.გამსახურდიას ქუჩა, N 19-ის ჩრდილოეთით

70. ზ.გამსახურდიას ქუჩა, N 14-ის სამხრეთით

2018 წელს სამსახურის ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულ იქნა 30 ერთეული უძრავი ქონება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სკვერი, ტროტუარი, გზა) საერთო ფართობით – 16047 კვ.მ.

სახელმწიფოს მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული და რეგისტრირებული იქნა: 3 ერთეული შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი (შენობის ფართობი - 849.21 კვ.მ; მიწის ფართობი - 7386.01); 1 ერთეული მიწის ნაკვეთი ფართობით - 3306 კვ.მ.

საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 2018 წელს დარეგისტრირდა 26739 კვ.მ. მიწა. მომზადებულ იქნა 53 ერთეული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების /ტროტუარი/ სახით რეგისტრაციისათვის, ფართობი-9056კვ.მ.

ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების მიერ 2018 წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა 165 ბრძანების პროექტი, რომლის საფუძველზეც, გამოიცა შესაბამისი აქტები, მათ შორის: რეგისტრაციისათვის - 25, აუქციონის გამოცხადებისათვის 28, გარე ვაჭრობისათვის 112 ერთეული.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში გამოცხადებულ იქნა 28 ელექტრონული აუქციონი, გასხვისებულ იქნა 41 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი-18683კვ.მ) გასხვისებული იქნა 11 ერთეული შენობა – ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთთან ერთად, ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 2,279,823.0 ლარი.

ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვიდან 2018 წლის ბიუჯეტში შემოსული იქნა 537,563.25 ლარი. ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან შემოსული იქნა – 592,791.55 ლარი, რაც საერთო ჯამში შეადგენს 1,130,354.80 ლარს.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში ქონების პრივატიზებიდან სულ გეგმა განისაზღვრა 3.5 მლნ. ლარის ოდენობით და შესრულდა.

უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის ჩატარებულ იქნა 3 ელექტრონული აუქციონი. აუქციონზე, სარგებლობაში გაიცა ორი ერთეული უძრავი ქონება (არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – აღნაგობის უფლებით; მიწა შენობა - ნაგებობით – იჯარით), რომელთა წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 165,142.0 ლარს.

ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის N 107 ბრძანებით გაცემულ იქნა გარე ვაჭრობის ნებართვა, რომლიდანაც ნებართვის მთლიანმა საფასურმა შეადგინა 90885 ლარი (გაუქმებულ იქნა 5 ბრძანება.)

განყოფილების მიერ მომზადებულია ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესი, რომელიც სამართლებრივი კონსულტაციების გავლის შემდგომ, დასამტკიცებლად წარედგინება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 87 საქმე. ხოლო მერიაში შემოსულია 202 მოქალაქის განცხადება. 35 ერთეულზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, 112-მა ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობის მოთხოვნები, ნაწილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. გაცემული იქნა 35 საკუთრების მოწმობა და ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 20,645.81 ლარი.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში მომზადებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 დადგენილების პროექტი. მათ შორის, საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილება.

განყოფილების მიერ მომზადებულ იქნა 48 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და გამოიცა შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები. აქედან, 8 განკარგულებით შეტანილი იქნა ცვლილება საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში, 10 განკარგულების პროექტით - საპრივატიზებო ობიექტების გეგმაში, 3 განკარგულებით სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (3 ერთეული), 8 განკარგულების საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საწარმოებს სარგებლობაში გადაეცა მოძრავი ქონება, 5 განკარგულებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემულ იქნა უძრავი ქონება, 3 განკარგულებით მიღებულ იქნა თანხმობა აუქციონის ჩატარების თაობაზე, 9 განკარგულების საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გაიცა 55,6კვ.მ უძრავი ქონება, წლიურმა საიჯარო ქირამ შეადგინა 3210 ლარი.

განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი მონაწილეობს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის იდენტობის დადგენის საკითხებში.

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, ქონების განკარგვის და ქონების რეგისტრაციის განყოფილებაში 2018 წელს შემოსულ იქნა 2900-ზე მეტი მომართვა და განცხადება, რომლებზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება.

ასევე, მომზადებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების რეესტრი, რომლითაც შესაძლებელი გახდა ელექტრონული ფორმით ქონების აღრიცხვა და მართვა.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში სარგებლობაში გაცემული ქონებიდან მისაღები წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 501538 ლარს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში 2018 წლის განმავლობაში, დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 18 პარტნიორთა კრება.

2018 წლის პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №56 (28.02.2018წ.) განკარგულებით და შპს „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი-2010-ის“ (ს/კ 412670435) 2018 წლის 5 მარტის N3 პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე, შპს „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი-2010-ის“ ბალანსიდან მოხსნილ იქნა ავტომანქანა „VOLKSWAGEN PASSAT“ „სედანი“, სახელმწიფო ნომერი: „MM175FF“, გამოშვების წელი: 2005, საიდენტიფიკაციო ნომერი: WVWAK93C26E054856 და გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას საკუთრებაში. შპს „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი 2010-ს,“ გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ, ავტომანქანა KIA RIO (ჰეტჩბეკი; სახელმწიფო ნომერი: LG906GL; გამოშვების წელი 2015; საიდენტიფიკაციო ნომერი: KNADM512AF6727125).

ასევე, 2018 წლის განმავლობაში, შპს „ქუთაისის N4 შერეულ პოლიკლინიკას“ უსასყიდლოდ გადაეცა 19 560 (ცხრამეტი ათას ხუთას სამოცი) ლარის ღირებულების მოძრავი ქონება, კერძოდ: 14 000,0 (თოთხმეტი ათასი) ლარის ღირებულების ულტრაბგერითი ძვლის დესინომეტრი, 1 260,0 (ათას ორას სამოცი) ლარის ღირებულების ჰოლტერის აპარატი, 500,0 (ხუთასი) ლარის ღირებულების ელექტრონული სპირომეტრი და 3 800,0 (სამი ათას რვაასი) ლარის ღირებულების იმუნოფერმენტული ანალიზატორი, რამაც გაზარდა პოლიკლინიკის შემოსავალი და შესაძლებელი გახდა პოლიკლინიკა ჩართულიყო მნიშვნელოვან აქციებსა და ღონისძიებებში ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის მიზნით.

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა შპს „ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის“ პარტნიორთა კრება 2018 წლის საფინანსო – ეკონომიკური შედეგების განხილვასა და დირექტორის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშთან დაკავშირებით. ანგარიში შეფასებულ იქნა დადებითად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წმინდა მოგების 30 674,0 (ოცდაათი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი) ლარის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში, შესაბამის სახაზინო კოდზე ჩარიცხვის თაობაზე, ხოლო 10 000,0 (ათი ათასი) ლარი დარჩა საზოგადოებას შპს „ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის“ სარეაბილიტაციო პროექტის შეძენის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში მოხდა განყოფილების თანამშრომელთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ტრენინგების მეშვეობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის საკითხებში.

ეკონომიკური განვითარების განყოფილების მიერ, 2019 წელს დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმის (LEDP) დამტკიცება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით;

2. საინვესტიციო პორტფოლიო;

3. საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება;

4. მერების შეთახმების ახალი ინიციატივა მერების შეთახმება ენერგეტიკისა და კლიმატისთვის 2030 მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით ტექნიკური პროცედურების შესრულება;

5. ენერგოეფექტურობის ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება;

6. ენერგეტიკის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოწყობა (მერების შეთახმების ფარგლებში);

7. ენერგოეფექტური სლოგანებით ფირნიშების ექსკიზების მომზადება, სკვერებში, რეკრეაციულ ზონებში მათი განთავსებისათვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;

8. საკონსულტაციო სერვისის განხორციელება ადგილობრივი ბიზნესისათვის;

9. ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება (სადღესასწაულო დღეებში);

10. მუნიციპალური ინდექსის კვლევა;

11. საექსპორტო პროდუქციის კატალოგის შექმნა;

12. ელექტროტრანსპორტის პოპულარიზაციისათვის შეღავათების წესის შემუშავება (პარკირების წესი);

13. ელექტრომობილების დამტენი სადგურის მოწყობისათვის პროექტის მიზანშეწონილობის კონცეფციის შექმნა.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ 2019 წელს დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

1. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ქალაქის მოსახლეობის ხელმისაწვდომი, მოხერხებული და საიმედო მომსახურების განხორციელების მიზნით საქალაქო კლასის ავტობუსების მარშრუტების სვლაგეზების დაზუსტება;

2. სატრანსპორტო მომსახურების მობილობის გაზრდის მიზნით მიკროავტობუსების მარშრუტების სვლაგეზების დაზუსტება და მათი საქალაქო კლასის ავტობუსების მარშრუტების სვლაგეზებთან კოორდინაციის უზრუნველყოფა;

3. მოდერნიზებული საქალაქო სამარშრუტო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის თითოეულ მარშრუტზე ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მოძრაობის განრიგების დაზუსტება და ადაპტირებული მართვის ელემენტების დანერგვა (სამუშაო დღეების საათების მიხედვით, მათ შორის პიკის საათებში მგზავრთნაკადის პარამეტრების მიხედვით მარშრუტებზე ავტობუსებისა და მიკროავტობუსების რაოდენობისა და მოძრაობის ინტერვალების ოპტიმალური სიდიდეების განსაზღვრით) მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, რათა კერძო მსუბუქი ავტომობილებით მოსარგებლე მოსახლეობას გაუჩნდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით ინტენსიურად სარგებლობის მოტივაცია;

4. საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო რეგულარული მარშრუტებისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სვლაგეზების პროექტის შემუშავება საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით;

5. ავტობუსების გაჩერებებზე საგზაო მონიშვნების პარამეტრების განსაზღვრა და პროექტის სახით მისი წარდგენა;

6. გაჩერებებზე ინფორმაციული ტაბლოებისათვის მონაცემების მომზადება, რომელიც მგზავრებს მიაწოდებს ინფორმაციას სხვადასხვა მარშრუტების ავტობუსების მუშაობის გრაფიკების შესახებ;

7. ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის N100 დადგენილებაში საქალაქო მარშრუტებზე ნებართვების გაცემის წესის, სანებართვო პირობების შესრულებისა და რეგულირების ნაწილში ახალი რეალობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და პროექტის სახით წარდგენა;

8. საქალაქო რეგულარულ მარშრუტებზე მგზავრთნაკადების პარამეტრების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში ნებართვების გაცემის კონკურსის ორგანიზება და ნებართვების გაცემა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების მიერ 2019 წელს დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

1. მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის პროცესი, დაგეგმილია ქონების ერთიანი ელექტრონული რეესტრის სრულყოფა, სადაც სრულად იქნება მითითებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მონაცემები;

2. დაგეგმილია დაურეგისტრირებელი ქონების მოძიება და რეგისტრაცია;

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარკვეული ქონება რეგისტრირებულია დაუზუსტებელი მონაცემებით, იქმნება პრობლემა ზემოთ მითითებულ ქონებათა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, 2019 წლისათვის დაგეგმილია დაუზუსტებელი მონაცემების რეგისტრირებული უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემების დაზუსტების პროცესი;

4. ქალაქში არის პრობლემა მოქალაქეების მხრიდან, თავიანთ საკუთრებაში შესასვლელი კიბეების მოწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის ქონების თვითნებურად გამოყენების, სამსახური აქტიურად მუშაობს ზემოთ მითითებული პრობლემების მოგვარების გზებზე, რათა, აღმოიფხვრას პრობლემა და მოხდეს ქალაქის ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზება;

5. სამსახურს დაგეგმილი აქვს მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის გზით, რეალიზაციის საფუძველზე, მოახდინოს ბიუჯეტში 4 მილიონი ლარის, ხოლო იჯარით გაცემული ქონებიდან 450000 ლარის მობილიზება, გარე ვაჭრობიდან ქალაქის ბიუჯეტში შემოსავლის სახით დაგეგმილია 90000 ლარის მობილიზება.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-19 სხდომაზე, 2019 წლის 24 აპრილს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, გიორგი გიორგობიანის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია